საქართველო

ანტიკორუფციული ბიურო

თბილისი

03/04/2024

№ 00005414

ა(ა)იპ ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის
აღმასრულებელ დირექტორს
ბატონ გიორგი კლდიაშვილს
მისამართი: ქ. თბილისი, ტ. შევჩენკოს ქ. #20

ბატონო გიორგი,

თქვენი 2024 წლის 3 აპრილის №FOI04/24-002 განცხადების პასუხად გაცნობებთ, რომ დღეის მდგომარეობით, თბილისის საქალაქო სასამართლოდან ანტიკორუფციულ ბიუროში შემოსულია:

1. ვასილ მშვენიერაძის ადმინისტრაციული სარჩელის ასლი (საქმე №3/2045-24; განმხილველი მოსამართლე: ლელა მილდენბერგერი);
2. სერგო მეთოფიშვილის ადმინისტრაციული სარჩელის ასლი (საქმე №3/2032-24; განმხილველი მოსამართლე: ნინო ბუაჩიძე);
3. ლევან მურუსიძის ადმინისტრაციული სარჩელის ასლი (საქმე №3/2044-24; განმხილველი მოსამართლე: ვალერიანე ფილიშვილი);
4. მიხეილ ჩინჩალაძის ადმინისტრაციული სარჩელის ასლი (საქმე №3/2043-24; განმხილველი მოსამართლე: ლიელა ფოლადიშვილი).

ყველა სარჩელში, სასარჩელო მოთხოვნებს წარმოადგენს ანტიკორუფციული ბიუროს უფროსის 2023 წლის 8 დეკემბრის №72 ბრძანების და აღნიშნული ბრძანებით განსაზღვრული, 2024 წლის განმავლობაში შესამოწმებელ თანამდებობის პირთა შერჩევისთვის შექმნილი დამოუკიდებელი კომისიის 2024 წლის 12 იანვრის №1 სხდომის ოქმის ბათილად ცნობა.

ასევე გაცნობებთ, რომ სასამართლოს განჩინებებით ადმინისტრაციული სარჩელები მიღებულია წარმოებაში და თითოეულზე გამოყენებულია უზრუნველყოფის ღონისძიება,

0114 თბილისი, ინგოროყვას ქ.N7
info@acb.gov.ge

საქმეზე გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლამდე მოსარჩელეების ნაწილში 2024 წლის 12 იანვრის №1 სხდომის ოქმის მოქმედების შეჩერების შესახებ.

პატივისცემით,

თამარ სიმონია
ადმინისტრაციული მენეჯერი

თ. სიმონია